კვირა 8 მაისი 1916 წ. ფასი 12 კაპ.

რედაქციის ადრესი: თბილისი, ოლღას ქუჩა № 6.

ეშმაკიკ მათრახი

იუმორისტ. ჟურნალი

№ 19



10 წლის იუბილე.

იროდიონ ევდოშვილი.

2 მაისს, ხანგრძლივი ავათმყოფობის, შემდეგ გარდაიცვალა მგოსანი იროდიონ ევდოშვილი.

ევდოშვილი დაიბადა სოფ. ბოდბისხევში, მთავარ დიაკვნის ისაკ ხოსიტაშვილის ოჯახში 1873 წელს.

პირველ-დაწყებითი სწავლა მან თელავის სასულიერო სასწავლებელში მიიღო, საიდანაც გადმოვიდა სასულიერო სემინარიაში. აქ მან მხოლოდ მესამე კლასს მიახწია, საიდანაც დაითხოვეს არა კეთილ-საიმედობისათვის.

სამწერლო ასპარეზზე ევდოშვილი დახლოებით 1900 წლებში გამოვიდა. თანამშრომლობდა უმთავრესად ჟურნალ „კვალში“ სადაც იბეჭდებობდა მისი ლექსები და აგრეთვე სახუმარო ფელეტონები „რიგოლეტოს“ ფსევდონიმით.

1907 წლიდან, ირ. ევდოშვილმა გასწყვიტა კავშირი ეკრედ წოდებულ „მესამე დასთან“ და საესებით გადავიდა ქართველ ნაციონალისტთა ბანაკში.

— ლი.

თათბირი.

(ძველი არაკი)

ეშმაკი.

სამშობლოს შვილები

(რუსულიდან)

ფრანგებმა ომში დაღუპულ მეომართა შვილები გამოაცხადეს „სამშობლოს შვილებად". მათ სახელმწიფო შეინახავს და აღზრდის თავის ხარჯზე. თითოეული ბავშვი მიიღებს იმ აღზრდას, რომლის მიცემა შეეძლო მისთვის მის მშობელს.

ოფიციალურ საბუთებში ბავშვები ასე იქნებიან მოხსენებული: „სამშობლოს ვაჟი", ან „სამშობლოს ქალიშვილი".

ასე აფასებენ ლამაზ, საყვარელ და გონიერ საფრანგეთში სამშობლოსათვის თავდადებულ მეომართა ღვაწლს.

როდესაც „სამშობლოს შვილების" შესახებ გაზეთში ცნობა წავიკითხე, თვალ წინ წარმომიდგა ორი სცენა მომავალი დროებიდან; ორი სცენა ორი ქვეყნის ცხოვრებიდან.

სცენა პირველი.

მოქმედება სწარმოებს ქვეყანაში, სადაც, როგორც ამბობენ, ვაჭრები მცხოვრებლებს არ სძარცვავენ, სადაც მოიჯარადრეები არ ოინბაზობენ, სადაც ინტენდანტები არ ქურდობენ, სადაც პოლიტიკოსები არ პოლიტიკანობენ, სადაც ინტელიგენცია არ ლოთობს და სხვა...

— თქვენ ობოლი ხართ?

— არა, ბატონო, მე ობოლი არ გახლავარ. მართალია, მე მამა არა მყავს. მამა ჩემი გმირის სახელით დაიღუპა ვერდენთან ბრძოლაში, მაგრამ ე დამრჩა ღვიძლი, მოყვარული დედა, ეს დედა დიდებული საფრანგეთია. მე ობოლი არა ვარ.

— თქვენ მამა გახსოვთ?

— რასაკვირველია, მახსოვს. ის ინჟინერი იყო. როდესაც ომში მიდიოდა, სიხარულით ამბობდა: „რა კარგია, რომ ინჟინერი ვარ. ახლა ინჟინერები ყველაზე უფრო სასარგებლონი არიანო".

— არ ეშინოდა, რომ ბრძოლაში მოკლავდენ?

— სრულებითაც არა. ჩვენს დროში ბევრს არ ეშინია სიკვდილისა. ყველაზე მეტათ ცოლშვილის მომავალზე შიშობენ. მამა ჩემი კი ამბობდა: შვილებო, მე არ ვშიშობ თქვენს მომავალზე. მე ჩემს მოვალეობას შევასრულებ საყვარელი სამშობლოს წინაშე და დარწმუნებული ვარ, რომ სამშობლოც შეასრულებს თავის მოვალეობას ჩემს წინაშე". მამაჩემი არ მოტყუებულა.

— შეასრულა სამშობლომ თვისი მოვალეობა?

— რასაკვირველია! განა დიდებულ ქვეყანას შეუძლია დაივიწყოს თვისი მოვალეობა? მამაჩემსა სურდა, რომ მე ინჟინერი გამოვსულიყავ. დიდებულმა საფრანგეთმაც შეასრულა მამაჩემის სურვილი. მე ინჟინერი ვიქნები, ჩემი უფროსი ძმა მასწავლებელი იქნება. ჩემი პატარა დაიკო ჯერ კიდევ პირველ დაწყებით სკოლაში სწავლობს და არ აურჩევია მომავალი ცხოვრების გზა, მაგრამ შეუძლია გულდამშვიდებული იყოს თვის მომავალზე. მის მომავალზე თვით დიდებული საფრანგეთი ზრუნავს.

— როდესაც ინჟენერი გახდებით, შემდეგ რას აპირებთ?

— როდესაც ინჟინერი გავხდები, მაშინ მამა ჩემსავით სამშობლოს ვემსახურები მშვიდობიანობის დროს. დღმერთმა გვაშოროს, და თუ ომი ატყდება, მეც მამა ჩემსავით დიდი სიამოვნებით შევსწირავ თავს ჩემს ძვირფას, საყვარელ დედას — საფრანგეთს. სამშობლოსათვის სიკვდილი ხომ დიდი ბედნიერებაა.

სცენა მეორე.

მოქმედება სწარმოებს სასამართლოში. სხედან ნაფიცი მსაჯულები, მაყურებლები. ახალგაზრდა ვექილი გატაცებით ლაპარაკობს:

— ბატონო მსაჯულნო. თქვენს წინაშე სდგას ახალგაზდა ქალი. მის სახეზე, როგორც სარკეში, ნათლათ აღბეჭდილია მისი წარსული, მაგრამ საუბედუროთ არაფერ კარგს არ გვეუბნება მისი სახე.

ამ სახეზე თქვენ ხედავთ ლოთობისა და გარყვნილების ნიშნებს. იაფი საღებავისაგან, რომელსაც ეს საცოდავნი სახეზე ისვამენ, პირის კანი უდროოთ დაბერებული და გაფითრებული აქვს.

მას მძიმე ბრალი ედება. მან შეიტყუა თავის ბინაზე ვაჭარი, დაათრო და გაძარცვა.

ბატონო მსაჯულნო! ვერ ვბედავ ვითხოვო ბრალდებულის გამართლება. დანაშაულობა ძალიან ნათელი და აშკარაა... მე მხოლოდ მის შებრალებასა გთხოვთ.

ბრალდებული ყოველთვის ისეთი არა ყოფილა, როგორსაც ამ ჟამათ ხედავთ.

ის დაიბადა ინტელიგენტურ ოჯახში. მამა მისი კარგათ ცნობილი ვექილი იყო. მდიდარი არ იყო, მაგრამ კარგათ ცხოვრობდა.

რვა წლამდის ბრალდებული მამის ოჯახში იზდეზოდა. ჰყავდა გამდელები და მასწავლებლები. მას ასწავლიდენ უცხო ენებს და მუსიკას.

მაგრამ მას შემდეგ, რაც მამა ომში მოუკლეს, ყველაფერი უკუღმა დატრიალდა. ოჯახი უსახსროთ დარჩა.

დედამ კანტორაში ადგილი იშოვა და ერთხანს ამითი არჩენდა ოჯახს.. მაგრამ ჯაფა ვერ აიტანა, ავათ გახდა და ლოგინათ ჩავარდა.

გაჭირვებამ თან და თან უფრო შებოჭა უპატრონოთ დარჩენილი ოჯახი...

ექვს ოთახიდან სამში გადავიდენ. შემდეგ ერთში. ბოლოს იქამდის მივიდა საქმე, რომ კუთხეში მოთავსდენ.

დახმარების იმედი არსაიდან იყო. ჩვენში ხომ ყველა თავისი თავისათვის ზრუნავს. ყველა იმის ცდაშია, რომ თავის სასარგებლოთ რაც შეიძლება მეტი ლუკმა წააგლიჯოს სხვას.

ყველა ცდილობს, რაც შეიძლება მეტი მოიპაროს, მეტი წაჰგლიჯოს... ვიღას სცალია სხვაზე საფიქრალათ?

დედა მალე გარდაეცვალა. სრულიად ობლათ და უმწეოთ დარჩენილი ქალიშვილი ქუჩის მსხვერპლი შეიქნა. მაშინ ის მხოლოდ თორმეტი წლისა იყო.

ცამეტი წლისა უკვე ლოთობდა. ლოთობის მასწავლებლათ ვიღაც მოხუცი ყავდა.

მერეკოვსკები და დიუ-ლიუები ჩვენში ხომ იშვიათი ხილი არ არის. ერთს ამხილებენ და ათასები საიდუმლოთ განაგრძობენ გარყვნილებას.

ხუთმეტი წლისას მძიმე სენი შეხვდა. მიზეზი ვიღაც ინტელიგენტი იყო..

ერთი სიტყვით, საქმე ისე წავიდა, როგორც წესია ასეთ შემთხვევაში...

ბატონო მსაჯულნო! ბრალდებული ამ ჟამათ მხოლო ოცი წლისაა. მაგრამ თავისი მცირე არსებობის განმავლობაში მან ძალიან ბევრი ტანჯვა განიცადა.

გთხოვთ ბრალდებულის შებრალებას, მამა მისის ხსოვნის გულისთვის, რომელიც გმირულათ მოკვდა ბრძოლის ველზე... გთხოვთ“...

გაგრძელება საჭირო აღარაა. მკითხველი თითონ მიხვდება, შეიბრალებდა სასამართლო ბრალდებულს თუ არა...

ოლ. დ-ორი.

გამოცანა

ერთსა რასმე მოგახსენებთ
ძარ.ილაც საფიქრელიაო
ამას მალე ვერვინ ახსნის,
თუმც არც დიდათ ძნელიაო.
ზოგიერთა კეთილ კაცი,
ვინმე საკვირველიაო,
თავ განწირვით კალმით იბრძვის
გაზეთის მშრომელიაო.
ორ ძმათ შუა ღვარძლსა სთესავს,
წამჩხუბ-წამკიდველიაო,
გაიძახის: ხალხი მიყვარს
ჩემივე ქართველიაო...
ეს სომხები ვინ არიან?
დაგვსვეს ცარიელიაო,
ადგილ მამული წაგვართვეს,
ტყე, მინდორი, ველიაო,
ამისათვის ვიხმობ ქართველთ
მათგან შველას ველიაო,
იმედი მაქვს მომყვებიან
ვიდრე ხალხი ბნელიაო.
კავკასია ჩვენ გვეკუთვნის,
ჩვენი ძველთა ძველიაო,
თითქმის ესეც ჩამოგვართონ
გამოგვლადრონ ყელიაო.

—

აქ მეორე მუსაიფობს:
საქმე სასურველიაო,
სომეხი ვარ და სომხებსვე
მსურს შეუწყო ხელიაო,
რათა სომხის სისხლით ირწყვის
ბრძოლის მინდორ ველიაო...
ქართველებთან შეერთება
განა ხელ-საყრელიაო?..
მსურს იგინი გავაძეო
დავრჩე ქვეყნის მცველიაო..
ჩვენ ვაჭრობა კარგი ვიცით
ის კი, მხოლოდ მხვნელიაო.
დღეს ქვეყანას ვაჭრობა ჰქმნის
მისი საფუძველიაო..
აბა მითხარ, მათი ძმობა
ნეტავ რისა ბჭნელიაო,
ჩვენზე ერიშით მიდიან,

გოგრა ცარიელიაო,
ჩვენთან ბრძოლას როგორ ბედავს,
ხომ იციან ძნელიაო,
მეც მოვიხმობ მეომრებსა
მყვანან დამფარველიაო.
თუ კი მათ ჰყავთ ბნელი ხალხი
ჩვენ კი გამოგველიაო?!.

—

ნეტავ, როდის მოისპობა
ორ ძმათ შუა გველიაო,
წელში ორათ მოხრილ გლეხმა
მოიმაგროს წელიაო.
არ ფიქრობენ, ირგვლივ მტრები
გვადგას როგორც მგელიაო
ძმურათ მივსცეთ ხელი ხელსა
გველის განსაცდელიაო,
აბა ეშმაკ როცა ახსნა
მარდათ დასძარ ხელიაო,
ამისთანა ხალხისათვის
მათრახი გაქვს მწველიაო.

ან. განჯის-ყარელი.

დამღუპა ჩამადანმა.

(გურული სცენა)

არა, რა მინდოდა, რომ ავბუნძულდი და საადგომოთ სოფელში წევედი? ნუ გეშინია, არ წამიღია საწყალი ნენაიზა დაჭუჭკული პოლსაპოჩკები, კაბები და თავშალი! ერთი წელიწადია ვპირდებოდი ჩემ ძამიას, ბიჭო, თუ მეტი არა, ერთ ჩაღვარღვალებულ ბლუზას კი ჩამოგიტან საადგომოთ მაინც მეთქინ. არ შეგჭამოს ჭირმა, გზის ფულს ძულათაი მუუყარე თავი, დევიდევი ზრუგზე ხელები და გუუყევი გურიაში. წასვლას რომ ვაპირობდი, უკეგ მევიფიქრე: ბიჭო, შენსას, კაი, თუ გინდა, ყველამ იცის შენი ამბავი, მარა ქვეყანა ასე კი არ იტყვის. იტყვიან: საცოდავო ლუკაია, მაგისანე შვილი წამოგეწია, აგერ სამი წელიწადია, საწყალმა დედა მისმა, ათასჯერ კაბა გაყიდა და გზაზე დააყენა, ახლა, დუუდვია ზრუგზე ხელი და ერთი ჩლუქიც არ მუუტანა, ისე ჩამოტენტერდა შინო.— აგი, როგორც გინახავს ფინდიხი ისე გამიელვა თავში. დიდხანს ვიყავი გაშტერებული, კალამ დავბრუნდი, მარა ბოლოს მევიფიქრე: მოდი, მე რომ დიდი ძველი ჩამადანი მაქ, იმას გავაფსებ რამეით და წევიღებ, ვინც შემხედავს, ქე მაინც ეგონება, რაცხა მიაქ ჩამადანითო.

მოფიქრება და ჩამადანის ლოგინის ქვეშიდან გამოთრევა ერთი ვქენი; რა მქონდა შინ წასაღები, რაც ვარგოდა, ყველაი ტანზე მეცვა, მარა იცოცხლე მე გავბესკნე ჩამადანი: თუ სამე მქონდა ძველი რამე, შით გოუძახე ყველას, ჩავბეკნე, დავკილტე და შევკონე. მოგეცა ლხენა, კაი ერთი ფუთის სიმძიმე გამეკიდა.

— ნასილჩიქ!! მეთქი, დუუძახე და ვაგონში ღლეტა გავაყენებიე. კაი ექვსი შაური გადამაშლეჭია ნასილჩიქმა. ბიჭო, ვუთხარი, რამ გადაგრია ბიჭო, ექვსი შაური რა ამბავია მეთქინ... რა ვქნა, ბარინ, გაძვირებულია ყოლიფერი, დარდანელი დაკეტილიაო. რას ვიზამდი, მივეცი, ახლა ხალხის არ მცხვენია, ნაცნობებმა რომ შემხედოს, იტყვიან, რაცხა ქე მიაქ ჩამოდანით სახლშიო, მარა მე ვწუხვარ კაცი, ვიცი ამ ჩამოდანის შინ მიტანა დამიჯდება ხუთი მანათი და შით მანათის აფერია... ვიძახი და ვიძახი სტანციებზე—ნასილჩიქ, ნასილჩიქ-მეთქინ და ვაძლევ ექვს-ექვს შაურს. ჩამოვედი რავარც იქნა საჯავოხოში. მოცვინდენ იზბოშიკები, წაავლეს ჩემს ჩამადანს ხელი და მიაპწიალებენ... მე უყვირე: ბიჭო, ასტაროჟნათ წეიღე, შით რაცხა-რაცხებია გასატეხი და არ გატყდეს მეთქი...

— ააა!.. ჩვენს ლუკიჩს გუუმარჯოსო, მომცვინდენ ყოველ კედრიდან ნაცნობები—კაცო, ფარცაკი რამე არ მიგაქ მაგ ჩამადანით, ასე რო უჯავრდები იზბოშიკსო!..

— აფერი, რაცხა ნაპიტკები და ზდობნები მიმაქ მეთქინ!

— აღდგომას შენსას ვართ ვიზიტზე აბაო... ვაიმე, დამცხელა ტანში. გულში ვამბობ, თქვენი ოჯახი დეიქცა, ნაპიტკები კი არა ძველი პერანგებით და წიგნებით არის გატენილი, რა ოხრობამ მათქმია აი ნაპიტკები და ზდობნები, ხომ დევიღუპე, მართლა თუ მევიდენ მეთქი... რას ვიზამდი... მივედი იზბოშიკთან და ვუთხარი:

— ბიჭო, უკანა ადგილი თუ გაქ, თვარა ისთე არ ჩავუდები ფაიტონში, წინე არ მინდა მეთქინ..

— კი, ბატონო, კი მაქო... იცოდე, მერე რომ იცით ბარიშნების ჩამოჟენა და ჩემი წინ გადმოჟენა, იმას არ ვიზამ მეთქი.

მუჯლუგუნი.

ოჰ, ნეტავ ეს რა კაცია
მუჯლუგუნსა რო ჰკრავს „ძრიელს“
აბლაკატთა მამამთავარს
ცნობილ ბესო სამტრედიელს???!!!

ვინ უბედავს? ვინა მეთქი?
მას შეეხოს? (ისიც ხელით!!)
ოჰ საბრალო! ამ შეხებას
უზღავს მძიმე სასყიდელით!!

ის ახლავე დასწერს თხოვნას...
(ან უკეთ ვსთქვათ „პრუშენიას“
არა ერთი შეუქმნია
იმის „ტალანტს“, მის „გენიას“!)

და მიართმევს „გოროდოვოს“
ამა და იმ მუხლის ძალით.
არა გჯერათ? ამგვარი რამ
მეც მინახავს ჩემის თვალით!

მაგრამ დახეთ უბედობას!..
მას სკვმს თითონ „დახმარება“
და სად ძალუძს „პრუშენიას“
მწუხარების გაქარვება?!!

ბედმა მისცა ქირისუფლად
მას გიორგი და ბუკია...
(როგორც ხედავთ „საბრძოლველი“
კიდეც დაჰკრეს მათ ბუკია.

—.

— არა, ბატონოვო.—ჩავჟედი შით, გევიცვალე პატარე თუ არა, მევიდა ორი გამოპიწოლიკებული ბარიშნა და, აბა, ერმილა ხომ გაქ ადგილიო.

— ჩაბრძანდით ბატონო, როგორ არაო... მე სათ მიშობ კაცო მეთქი.

— თუ კაცი ხარო, დამეღლარჯა, უკანე ადგილი დუუთმე, ქალებია, მოსარიდებელი, შენ წინაზე გადმოჟედიო... რა მექნა .. ბარიშნებმა სულო ცოდვილო, ბოდიში ქე მოიხადეს, რო მეწყინა... ნიჩავო, ბარიშნებო, ეს ჩემი ადგილია, ღმერთს ჩემდა სულ წინა ადგილი დუუმწესებია მეთქი.

რავარც იქნა ჩევედით ჩოხატაურში... იზბოჩიკმა სამი მანათი მომთხოვა. რა თავს იგდებ, თუ იცი მეთქი, მაინც კი ვარ გაჯავრებული, წინა ადგილი და უკანა ადგილი ორივე სამი მანეთი რავა ღირს მეთქინ... რა ვქნათ ასეა ტაქცია... წინე და უკანე სულ ერთია, ორივე სამი მანეთი ღირსო... ღმერთმა დააქცია შენი ტაქცია მეთქი და მივეცი, რაღას ვიზამდი... რავარც იქნა ავფორთხდი შინ... ვიანგარიშე და ჩამადანი დამიჟდა შინ მიტანილი კაი სამი მანეთი... მომაფართქალდენ შინ, წამუუსვეს ხელი ჩამადანს, ემძიმენ.

— ნენა, რაია ამისიმძიმე ამაში? მკითხა დედამ.

— რაცხა სარეცხებია მეთქინ... ცოტა კი მეიწყინა აგი რომ ვთქვი, მარა მერე მითხრა: ღმერთს ვმადლობ შენი თავი რომ დამანახვა, შენ იყავი კარგათ და სხვას აფერს ვჩივიო... საღამოს მუუყევი, ასეა ქალაქში—სიძვირეა, ჯამაგირი საჭმელ-

ში მეხარჯება, მეტი აფერი მრჩება მეთქინ, დამიჯერეს, ამას მაინც კი ვამბობდი მართალს, სხვაი თვარა — დალოცოს ისთევლე ღმერთმა სოფელი... კიდომ იქინე თუ იშონი კაცი რამეს მადლიანათ... აი, ადესაის ღვინო, გოჭი და ხან ღომის ღომი და ხან ღერღილეს ღომი ქე ვიშონე ამ პრაზნიკებზე და მეტი რა მინდოდა...აღდგომას გოროდის პრავილაზე ვიზიტი მინდოდა გამეკეთებია მეზობლებში, მარა ნენამ არ გამიშვა. მითხრა:

— ნენა, დღეს დაგინახე და დღესაც სხვისას მირბიო.

— შენ არ იცი ნენა აფერი, ვიზიტები დღეს უნდა მეთქი...

— არა, ხვალ-ზეგ წადი, კი მიესწრებიო. რას ვიზამდი... გავჩერდი... გულში ქე გამიხარდა ცოტა. ვიფიქრე, დღეს, აღდგომას ყველას აქ საჭმელი, ხვალე უკეთესია, თუ ვინმეს რამეს გამოვრჩები მეთქინ ავდექი ნააღდგომევს და ჩამოვიარე ნაცნობ-მოყვრები... ქრისტე აღდგა, ქრისტე აღდგა!.. მეთქი ვულოცე ყოლიკაცს—მარა ჭეშმარიტათო, არაკაცი არ მეუბნებოდა. ვიფიქრე—აგერ გამეიტანებენ პასკას და გააწყობენ სტოლს, ორი წელიწადია არ უნახავარ ჩემ მოყვრებს მეთქინ, მარა, შენც არ მომიკვდე...ვინ სიძვირის ამბავი წამომიწყო, ვინ გადასახადის, ვინ ვაინაში შვილი დამიჭრესო, ვინ ქე მომიკლესო და ვინ რა ვიცი...სტოლის გაწყობა კი არა, მეც გული ამიტირდა იგენის სიცოდვით... ბოლოს მეზობელ უჩიტელიცასან მივედი ამბავს ვკითხავ, რას შობა, როგორ ცხოვრობს მეთქინ... დავჟედით ეზოში, ვიჭუჭუნეთ... მამა მისი სახლის წინდამ ქე თოხნიდა რაცხას... ბოლოს ქარი ამუარდა და სახლში შევედით, ქარმა კარები ქი წამოგვიხურა. აი, დეინახა თურმე მამა მისმა თუ არა, მუარდა და მუუჯაჯგუნა კარებს, რავა ჩაგიკილტავენ კარები, გამოაგდეთ მაგი წუწკი ვინცხა არის გარეთო. წამოუსვი ქუდს და ვუდურთე ანგელოზ დაფეთებულმა. მორე დილას, დევიწყევლე თავი, გავტენე ჩემი ჩამადანი და გამოვემგზავრე გოროდ ქუთაისში. ჩოჩატაურამდი კი წავაღებიე ბიჭს ჩამადანი და მერე ისე ჩამელია გზის ფული, რომ არც ნასილჩიქიზა დამიძახია და არც იზბოშიკიზა, მევიგდე ზრუგზე და ვთრაქე საჯავოხოში სტანციაზე, იქიდან ქუთაისში და ასე, გაპივრებულათ მევიარე სოფელი ჩემი ჩამადანის გადაკიდულმა. დასწყევლოს ღმერთმა მისი მომგონი.

ლუკაიეს ობოლი.

რუსული ჟურნალიდან.

მსახური. მიკვირს ღმერთმანი, ჩემს ქალბატონს რა კარგათ უხდება ეგ ვირის ყურები და მე კი არა.

რუსული ჟურნალიდან.

— პატივცემულო მეჩექმევ, ნებას მომცემთ უმორჩილესად გთხოვოთ ჩემი ფეხსაცმელის დაკერება.

— ნუ თუ თქვენ ასე მდიდარი ხართ?

დეპეშები.

ფოთი. ჩვენმა მხიფავმა*) დაწვრილებით გამოიკვლია ნახუტურში, სასაფლაოს გალავანში, გატაცებული საკურთხების საქმე. სასულიერო მთავრობა მას ცნობილ ყაჩაღს, სისონა დარჩიას, აბრალებდა. მხიფავის გამოძიებამ დაამტკიცა, რომ სულიერ მამებს საკურთხების უმეტესი და უკეთესი ნაწილი თავიანთ სენაკში**) მოუგროვებიათ და უმცირესი და უგლახესი ნაწილი კი საკურთხებზე მოდარაჯე „ხალხს“ დარჩენიათ.

„მეორე საკურთხობა დღემ“ ახალ კვირის ორშაბათმა, უფრო მშვიდობიანათ ჩაიარა.

იქიდანვე. სასაკლაოს უბანში „ანარხო სოციალისტ“ ნ. ჩხარტიშვილს თავის „მოძღვრების“ გავრცელების მიზნით დუქანი გაუხსნია, ვითომც კარტ-ნარდის და სხვა ამგვარების სათამაშოთ, მარა ნამდვილათ კი მისი „იდეური“ ამხანაგების თავშესაფარად, სადაც თურმე მღდამ იყრიან თავს და მსჯელობენ „ნება დაურთველ“ მოძღვრების განხორციელებაზე. ამავე ჩხარტიშვილს თავის ბინაზე დაუყენებია კიდევ ვითომ უბრალო მდგმური ქ-ნი „ფანტი“, მარა როგორც საზოგადოებას გაუგია ქ-ნი ფანტი ნამდვილი ინგლისელი „სუფრაჟისტკა“ ქალი ყოფილა, რომელიც თავის „მოძღვრებას“ მთელ ნახუტურის გუბერნიაში ავრცელებს თურმე მალულათ თუ ცხადათ. ამ ქ-ნს თურმე ისეთი „უცხო სტუმრები“ ეწვევა ხშირათ, რომ „ეჭვი“ დაებადა ნახუტურელებს და ერთხმათ დაუდგენიათ წინადადება მიეცენ ნ. ჩხარტიშვილს დახუროს თავისი „ანარხო სოციალური“ დუქანი და დაითხოვოს ქ-ნი ფანტი თავის ბინიდან, რომ ამით იხსნან ნახუტური „გაანარხისტებისა“ და „გასუფრაჟისტკებისაგან“. ჩხარტიშვილი ყოყმანობს თურმე, მარა ქ-ნი ფანტი მტკიცე ვარზე დგას და საზოგადოებას „დუელში“ იწვევს.

იქიდანვე. მიწის ქვეშ გაყვანილ ტელეგრაფის საშვალებით ცნობა მივიღეთ: რკინის გზის სადგურის მოსამსახურეები: ე. ი. სადგურის უფროსი, მისი თანაშემწეები, „კანტორშჩიკები“ ვესოვშიკები და „კლადოვშიკები“ შეერთებულან და იცავენ თავიანთ პროფესიის თანამომუშავე მალიგონს, რომლის დათხოვა მუშებმა კატეგორიულათ გამოაცხადეს. ამ შეერთებულ კავშირს გადაუწყვეტია: რათაც უნდა დაუჯდეს დაიცვან მალიგონი და დატუქსონ მუშები. კავშირის სარდლობა ელიავას უკისრია და ისეთ სტრატეგიას იჩენს თურმე მუშების დასამარცხებლათ, რომ მაკენზენსაც კი წააჯობაო. „სულშემხუთავი“ გაზების გარდა გამოუგონებია ამ ახალ სარდალს „გიპნოზი“, რომლის საშვალებით საბრძოლველათ მომზადებულ მუშებს ამუნჯებს თურმე: მუშებს უსარგებლიათ თანამედროვე სტრატეგიით და მოგერიების მიზნით მიწა ამოუთხრიათ სადგურის უფროსის სადგომთან და შიგ ჩაძრომით უმაგრდებიან ყოველ მხრივ შეიარაღებულ მტრებს.

ბუტუნას სააგენტო.

დ. ხონი. სამხედრო მოქმედება თან და თან ძლიერდება. ლანდშტურმისტ მე—ეს ყოველ დღე მოაქვს სასტიკი იერიშები ბაზარში და ქალაქის ბაღში. ზარალი დიდია. გალახულია 18 სალდათი და რამოდენიმე ობერ-ბარიშნები, განურჩევლათ სილამაზისა, ტანადობისა და მიხვრა-მოხვრისა.

ხონის საზოგადოებამ ერთხმათ დაადგინა: 1) დაუყოვნებლივ დაიკეტოს ბაღის კარები, რათა ხალხი არ წააწყდეს აღნიშნული გმირის შიშველ ხმალს და წუთისოფელს არ გამოესალმოს. 2) მიღებულ იქმნას ზომები, რათა ხელმეორეთ გაშენდეს ბაღი, რომელიც მე—ის იერიშების დროს საგრძნობლათ დაზიანდა (ეს მხოლოდ მაშინ, თუ იგი პოზიციაზე გაიგზავნება); 3) ადგილობრივმა მეეტლეებმა თხოვნა გაგზავნეს შტაბში, რათა მათ სახელმწიფოთ დაეთმოს „შინები“, ვინაიდან გმირს მუდმივი ტარებით ერთიანათ გაცვეთილა.

გურული ბიჭი.

*) მხიფავი—გრძნეული, რომლის თვალსა და გონებას ვერაფერი დაემალება სამყაროში და რომელსაც განსაკუთრებით მინდობილი აქვს სასულიერო უწყებათა საქმე საძიებლათ.

**) სენაკი—ხუცებისა და მოლაზვნების საერთო ბინა ლოცვიდან დასვვენების დროს.

პატარა ფელეტონი.

ვაჭრების საუბარი

ორი ვაჭარი შეიბა.
იმაზე ქონდათ მსჯელობა,
თუ სანამ გასტანს ეგ ომი,
ხოცვა, ჟლეტა და მკვლელობა..
ერთმა. სთქვა არ მოეღება
სისხლის-ღვრას დიდხანს ბოლოო...
მგონი, დაგვიდგეს იგი დრო,
რომ მეც მტერს შევებრძოლოო.
მართალი არის, მოვხუცდი,
არა მაქვს მკლავში ძალაო,
სამაგიეროთ სალი მაქვს
შუბლი და თავის ქალაო.
მეც გავაკეთებ ერთ ტყვიას
მეომარს დავიფარავო,
სხვა რაღა უნდა სამშობლოს
ჩემგან ხომ ესეც კმარაო.
—მეო, დაიწყო მეორემ—
სულაც არ ვშიშობ ომითო
არც მას ვინაღვლი სისხლის-ღვრა
გაგრძელდეს თუნდა წლობითო.
შემოსავალი ჩემს დახლში
მატულობს საათობითო,
გული მაქვს გაწყალებული
თვლა ანგარიშზე შრომითო.
ჯიბეში მუდამ მიწყვია
ფულები ათასობითო,
„კრედიტი“ აღარ მჭირდება
და არც ვსარგებლობ ნდობითო
სულ ნაღდზე ვყიდი, ვყიდულობ,
არ ვიტყვი ტრაბახობითო.
მე პატიოსნათ ვმდიდრდები
და არა თვალთ-მაქცობითო...
მაგრამ ერთი რამ მაწუხებს,
გულს მიკლავს ამა გზობითო:
იქნებ მართლაც არ „დამბრაკონ“
მე ჩემის მოხუცობითო...
მაშინ ხომ დავიღუპები:
რაც შევიძინე შრომითო,
გავერანდება, ჩამივლის
ვერაგობით და მტრობითო,
არავინა მყავს ნუგეში
ყველას ვმზერ უნდობლობითო,
დიდი ნოქარი ქურდია,
იპარავს ათასობითო...
—„რას ამბობ, ბუთხუზ! ჯერ კიდევ
უნდა გაგრძელდეს ჩხუბია,
რამდენს მეტს გასტანს სისხლის-ღვრა,
ჩვენთვის ის უფრო სჯობია!
რას ვაქნევთ ხალხის გასაჭირს,
რა გულის მოსალბობია,
ხომ იცი: ეხლა მყიდველი
არ არის დასანდობია...
აბა, რომელი კუპეცი
მაგრე ტუტუცებრ იმჯელებს,
თავის დასაკლავ დანასა
თვითონვე ყელს მიაშველებს!!
ბუთხუზ-ჯან! ვიღაც ჭკვიან კაცს
უთქვამს ანდაზა ესეა:
„სულელი მეგობარიო
მტერზედაც უარესია!“
ჰო-და, შენ უნდა ფრთხილობდე
არსად წამოგცდეს აზრები,
რითაც საქმეებს აგვირევ
და ვიზარალებთ ვაჭრები!..
ომი და მისი შეწყვეტა—
ეს უფლის, მეფის საქმეა,
შენ გამომდგარხარ და ყბედობ:
სისხლის ღვრა სისაძაგლეა!..
აბა, რა ნახე ზარალი
საქონელ განაძვირები,
უსიტყვოთ მიაქვთ მყიდველებს
მოდის და მოდის ფულები!
ყველა: მდიდარი, ღარიბი
მოვიდა ახლა ჭკუაზე,
ხედავენ ომი გრძელდება
არც ისინია უარზე,
რომ ფული მეტი გაიღონ
და შეიძინონ ნივთები,
შენ ამას ალბათ ვერ ხედავ
სრულებით არ უფიქრდები!..

—„მართლა შეშინდი ლაჩარო!
ჩვენ ვინ გაგვიწვევს ბრძოლაში,
ხნეობით რომ არ „დაგვბრაკონ“
მაინც არ მოვალთ ზომაში:
ჩვენ დაბლები ვართ და ღიპი
აჰა, რა ზორბათ გვკიდია,
ჩემი ხომ არის და არის
შენი-კი უფრო დიდია!..
არ გამოვდგებით, მერწმუნე
მეომრათ ბრძოლის ველზედა,

ისევ აქ გვიჯობს, ბაზარზე
ბრძოლა და ფულის გროვება,
ხომ ხედავ სულ სხვა წელია,
გამოიცვალა დროება.
— „სწორია, სიმართლეს ამბობ
ჩვენ უნდა შევკრათ კავშირი,
რომ არაფერი დაგვატყდეს
ასეთ დროს ვნება და ჭირი.
თუ-კი ლატაკი ერთდება,
მოჰფინეს სავაჭროები,
ჩვენს წინააღმდეგ იბრძვიან
ჯიბე-ფხინკ, უფულოები,—
ჩვენ რისთვის უნდა არ გვქონდეს
სიმტკიცე, ამხანაგობა!
ფული ბევრია და ძალაც
ჩვენია, დიდი გვაქვს ნდობა“..
— „დიახ, კავშირი, კავშირი...
გავსწიოთ აგიტაცია,
რომ დასაწყისში ჩავარჩოთ
ღარიბთა „კოპერაცია!.
შეეერთდეთ, პირი პირს მივცეთ
ძმურათ ვივაჭროთ, ერთობით,
გვახსოვდეს: ქალაქის „ღლასნებს“
სავსებით ნუ დავენდობით...
მეტი სიმტკიცით, კავშირით
საქმე კვლავ გამობრუნდება,
და... უფრო კარგი, თუ ომი
დიდ-ხანს გაქიანურდება“!

ალბურიონი.

შეკითხვის გამო.

რა „ყანწების“ მკითხველები
არ მაძლევენ მოსვენებას,
და ჰგოდებენ: „როს ველირსოთ
ჩვენ პაოლოს „ალურ“ ქებას,
და რადგანაც ივვიანებს
„ყანწები“ და რედაქტორი,
განვიძრახე თუ არ დარჩა
„უმგზავსო და შორის შორი“
შევთხზა რამე სანიმუშო
„ცისფერ ყანწის“ შესადარი
და მკითხველთა სიარულით
მოვასვენო სახლის კარი.

მიბაძვა.

შერეული პოეტობა
მერე ფილოსოფიაში
ისე მიყვარს, როგორც ხახვი
თვით ალაპის ლობიაში.
რუსთაველის პოეზია
და მუსიკა ბეთხოვენის,
„ალური“ და არ „ალური“
რა ღირსია ყურთა სმენის?
დრო მოქმული ხელოვნება,
თუნდ შექსპირის ტრაგედია,
ვით გამთბარი „ბინძურ მზისა“
ჩვენს სალოკავ ფეხქვეშ გდია.
რაა იგი ხელოვნება
თუ არ ხატავს ქვენა გრძნობას,
სქესობრივი ჟინის მოკვლის
საიდუმლოს გამოცნობას.
მსმენელთ თუ არ მოუწოდებთ
„სამრავლოთ და სამოქმედოთ“
რა გამოვა ძველებურათ
რუსთველივით რომ ვიყბედოთ.

ბუტუნა.



იმერული*) სცენა.

— პოსლი უროკა, კუდი მი პოიდემ ელიჩკა?

— შენი რა ვიცი, ჩემო დაიკო, მეკი ნა ვაენომ პოვეზდე.

— პაჩამუ, დუშკა?

— პატამუ შტო, ნაცნობ პრაპორჩიკებს უნდა დავხდე.

— ტი მნოგო ხნაეშ იხ პრაპურჩიკოვ?

— სტო.

— შტო?

— სტო.

— ია ტოჟი პაიდუ, დუშკა.

— რა მენაღვლება, მი ადნი ხომ არ ვიქნებით, ყველანი იქ მოდიან.

— კი მარა ნაჩლენიცამ რომ დაგვინახოს? შტო ბუდიტ, ა?

— შენც დაიწყებ ერთი! როის იყო, რომ ნაშა ნაჩელიცა სლედილა ზა ნამი?

— მართალს უნობ, ბოშო შენ. სამა ყურის საგდებია, ჩვენთვის სად სცალია, ვოტ ეშჩო!

— აი, გეყურება? ზვონიატ კიდეც. აი ერთი უროკი დავტიოთ და წავიდეთ.

— უყურე, ბოშო, ნაჩალიცა, რაფერ გონიტ ყველას.

— შენ ატ მენია არ მომშორდე. შევიდეთ და გამეეიპაროთ. ანა შტო უზნაიტ.

— ელენა, ჩტო ზადანო ნა უროკ?

— არ ვიცი, დუშკა.

— არ იცი და ედინიცას მოგარტყამენ.

— პუსტ სტავიატ, ოჩინ ნუჟნა! რა დროს ზანიატია, შენ ჩემო, ასეთ სიცხეში?

— ნახე, ბოშო, რომელი საათია.

— ჩერეზ პეტ მინუტ, გენაცვალე, როცა ზაზვონიატ მაშვინ წავიდეთ.

— კითხე ბოშო მაგ კაცს, იქნება ქე გამეიდა პოვეზდი.

— რომელი ბარიშნა, ქვედოური, თუ ზედოური?

*) მართალია ბევრს ეუცხოება ეს ახალი „იმერული“ ენა, მაგრამ იმედია შინაარსის ინტერესით ენის სიძნელესაც დასძლევენ. საზოგადოთ ამ ენაზე მოსწავლე მდედრობითი სქესი ლაპარაკობს.

ეშმაკი.

— დლია მინე ვსო რავნო, ვაინი კი იყოს.

— ასტავ ელა, ნე სტოიტ სნიმ გავარიტ.

— შეხედე მარუსია, ერთი ამას პასმატრი... მოცის პოვეზდი შორაპნიდან.

— სანიტარსკია, ბოშო, თუ ვაინსკი?

— რა ვიცი, შენ ჩემო, ვსე რავნა რომელიც უნდა იყოს.

— ია სვოი ბუკეტი რაზდამ მოიმ მილენკიმ.

— სტარაისა, დუშკა; მართლა რას გვაწვალებენ... კაკოი ვრემა უჩიცა, პარა ნამ ჟენიცა.

— მოვიდა, ბოშო, შეხედე იმ ფარუჩიქს, ახ კაკაია დუშკა.

— სესტრიჩკა! დაიტე ადნუ როზუ ესლი მოჟნო.

— მარუსკა, შეხედე ბოშო ვინ მთხოვს, შეხედე. ია ნიპრემენუ დალჟნა დატ.

— ელიჩკა, იმას შეხედე, ბოშო, ეგერ გლაზამი რომ მარგაეტ. სადაა ახლა ჩვენი ნაჩალიცა!

— ნუ გამახსენებ, დარაგაია, იქაც ნე ვინაშუ ეგო.

პ. ივანდიდელი.

მოსენეპა

ჩემო ნათლია ეშმაკო!
მოყვასი თუ გენანები,
თუ ბოროტება-შურითა,
ტარტაროზს დაემგვანები—
ისმინე ჩემი მუდარა,
ეს ჩემი ამოცანები
და მომახმარე, შენს ნათლულს,
ეგ შენი კუდიანი.
ხომ იცი, დარაზმულია
კლუბები, რესტორანები,
გაფიცულ მზარეულებსა
წელთ გაურჭვიათ დანები.
არც „ანტრიკოტი“, „ბივშტექსი,“
არცა „მცვრიანი მწვადები“,
არცა საუზმე დილისა,
ფაქიზათ განამზადები,—
აო მირთმევია ბატონებს
ამოსაყორათ კუჭისა
და არის ხაზეინების
მრისხანე ქნევა მუჭისა.

მაგრამ, ყველაზე მაგარი
სიხარულიძე ყოფილა.
ხაზეინების ლაშქარში
გმირივით გამოყოფილა.
იქნევს და იქნევს მახვილსა,
ბიჭებს ადინა მტვერია
და ამბობს:—ვინ რას დამაკლებს,
„ეშმაკი“ ვინ ოხერია!
ხომ იცით, თითონ ვეტცელიც
ბიჭებმა გააკოტრესო,
დასძინებოდა კრესლოში
და ჩუმათ სახლი მოსჭრესო“.
ფილოსოფია ამგვარი
დიახ ღირსია ქებისა
და ეშმაკურის ძიებით
სარჩულთა განქიქების.ა

სიო.

—

ლანირი. ჩემო ბიძია, ეშმაკო!
კარგათ დამიგდე ყურია:
ლანირელ მამასახლისის
გამათრახება მწყურია.
მან იმა სოფლის გლეხები
აღარ დაინდო, აწამა...
გასთიშა ორ დიდ ბანაკათ,
მით ბევრი მწარე აჭამა.
საერთო დუქნის გარშემო
ასტეხა დიდი ომია,
დაქსაქსა, დაანაწილა
სოფელი ფეხზე მდგომია.
თვითონ, ჩარჩების მხარეზე
გადადგა, საძაგელია,
(რამეთუ ქანქარს ელოდა
იმისი ჯიბე გრძელია).
ხახლი კი, ხალხი სწაწყალი
ჩაგდო გასაჭირშია.
გული მიღელავს—ლანირში
მივდივარ, არ მაქვს შიშია.
ის ჩარჩი მამასახლისი
თუ შემხვდა ღელის პირშია,
არ უნდა ბევრი ჩიჩინი,
ჩავაგდებ გასაჭირშია.

ჭაგნელი ბზიკი.

ლია წერილი

ბ-ნ ისარს.

ბ. ისარო! ვისთვისაც უცხო ხილია ლიტერატურული ეთიკა და პასუხის მგებლობის გრძნობა, ის კალამს ხელს არ უნდა ჰკიდებდეს. ყოველი თქვენი მოქმედება ამტკიცებს, რომ პასუხისგებას გაურბიხართ, რაც საპასუხო წერილშიც გითხარით. ასე იქცევა ის, ვისაც სათქმელი არაფერი აქვს და თავს დამარცხეაულათ გრძნობს.

როგორც იქნა, ექვსი თვის შემდეგ დაასახელეთ მედიატორეები, უკეთ ვსთქვათ გაიძულათ „ეშმ. მათრახის“ რედაქციის მკაცრმა განცხადებამ:—იძულებული ვიქნები გამოვაქვეყნო თქვენი ნამდვილი სახელი და გვარი შესაფერი განმარტებითო.

თქვენს მედიატორეს, ალ. ლორთქიფანიძეს მე დავაბარე, რასაც, დარწმუნებული ვარ, უკლებლივ გადმოგცემდათ: ვუსვამ ბ. ისარს ოთხ ულტიმატუმს—1) რადგან ბ. ნოე კალანდაძის ნაცნობი არავინ აღმოჩნდა მთელ სოფელში, შემატყობინოს სად ცხოვრობს ის, რომ საშვალება მექნეს შევკრიბო მის შესახებ ცნობები. 2) დამისახელოს მოტივები, რატომ გადააყენა ჩემი მედიატორე ალ. ლეჟავა, რომელსაც კარგად იცნობს მთელი სოფელი და მის კეთილ-სინდისიერებაში, გარდა ბ. ისარისა, რიგიანი მოწინააღმდეგეც ვერ შეიტანდა იჭვს. 3) უკანასკნელ წერილში ბ. ისარი სხვათა შორის ამბობს—ფაქტი ფაქტათ დარჩება და თქვენ ნაყოფიერ მოღვაწეობას ჩვენში ესეც მიემატებაო. ეგ ფრაზა ადამიანის პიროვნების შემლახველია, ამიტომ მოვითხოვ მისგან დამიმტკიცოს იმავე სასამართლოში სხვა ჩემი სათაკილო საქმეებიც. ვაძლევ მას უფლებას შეეხოს ჩემს მოქმედებას სხვა სოფლებშიც, თუ რომელიმე ადგილი არ იცის, მე დავუსახელებ და ზედ დავსძენ—ნუ ინებებს ბ. ისარი ჩემს შებრალებას, მე ის არასოდეს არ შემიბრალებია და ცხრა წლის განმავლობაში არა ერთი და ორი მწვავე მათრახი უგემებია მას ჩემგან, როგორც პირში ისე პრესის საშვალებითაც, რა თქმა უნდა საზოგადო საქმის ნიადაგზე. 4) დამისახელოს ახლავე რწმუნებული, რადგანაც ბ. ისარი დაბალი ღირებულების ადამიანად მიმაჩნია და მისგან მოსალოდნელია განზრახ წამოაყენოს რომელიმე ადგილობრივი ნაძირალა, რომ საქმე გააჭიანუროს,

რასაც დიდი ხანია ლამობს, რადგანაც კარგად იცის, რომ მე ორი თვის შემდეგ მომელის ჯარში გაწვევა და თუ ეს ასე მოხდა, თუ სამუდამოდ არა, დიდი ხნით მაინც მესპობა საშვალება ვაგებინო მას პასუხი. თუ მისი რწმუნებული არ იქნება მისაღები, მოტივებსაც წავუყენებ. თქვენგან მივიღე შემდეგი პასუხი: ალ. ლეჟავა იმავე სასწავლებლის მასწავლებელია და მასაც იგივე ბრალი ედებაო. მე ამ ფაქტთან მაქვს საქმე და სხვებს არ დავეძებო. ჩემი რწმუნებული რომ წამოდგება სამსჯავროში, ვერ შეხედავსო! ბ. ისარო! ალ ლეჟავა ჩვენს შკოლაში მასწავლებლობს ამ სამოსწავლო წლიდან ჯარში გაწვეულის მაგიერ, უმაღლეს შკოლაზე კი დავა ორი წელია რაც დაიწყო; ყოველ შემთხვევაში, თუ ჩვენ ერთგვარი ბრალი გვედება, მაშინ, თუ თქვენ საზოგადო საქმე გაინტერესებდათ და არა კერძო ინტერესები, ისიც უნდა დაგესახელებიათ. „სხვა მის საქმეებს არ დავეძებო“—ახლა თქვენ არამც თუ დაეძებთ, დარწმუნეაული ვარ, კიდევაც ნანობთ, მაგრამ მე დავეძებ—წერის დროს უნდა გეფიქრათ, რომ კალამმა ზოგჯერ პატრონის გაშოლტვა იცის. რწმუნებულის დასახელებაზე თქვენი პასუხი იმდენად უზრდელურია, მასზე ლაპარაკი მეტად მიმაჩნია. თქვენმა პასუხმა, რა თქმა უნდა, ვერ დამაკმაყოფილეს და ჩემი მოთხოვნები გაგიმეორეთ, რაზედაც თქვენ მიპასუხეთ: კატეგორიულ უარს ვაცხადებ ჩემს პასუხში ცვლილება შევიტანო, თუ არ მოსწონს სხვა გზით ეძიოს ჩემგან პასუხიო. ამის შემდეგ სამარცხვინოთ მივიჩნიე განმეგრძო თქვენთან მოლაპარაკება. ს. ღოღობერიძის „აპეკუნობა“ ზედმეტია, თვითონ მან გამომიწვიოსო. მხოლოდ თქვენისთანა ბრძენს შეეძლო დაენახა ჩემს წერილში ღოღობერიძის „აპეკუნობა“, ან რომელი საღი გონების ადამიანი ამბობდა უარს ეგო პასუხი ერთ-და-იმავე საქმეზე, რომელსაც სჭირდება ერთი და იგივე მოწმეები, თუ მოსახერხებელია, ერთ დღეს! გაურბიხართ ბრალდების გარკვეულად დაყენებას—ალარ გედავებით ამ საკითხში, იძულებული შეიქნებით გაარკვევიოთ ის საქმის გარჩევის დროს.

ბ. ნოე კალანდაძეს ვღებულობ მედიატორად, თუმცა ძლიერ გამიჭირდა მისი ვინაობის დანამდვილებით გაგება—სასურველი კი იყო ვინმე ადგილობრივი, რადგანაც, მწამს, მოწმეების პირად ნაცნობობას დიდი მნიშვნელობა აქვს მათი ჩვენების შესაფასებლად. ალ. ლეჟავას მაგიერ ადგილობრივ დავასახელებ მედიატორეს,—მხოლოდ მისი გადაყენების აზრიან საბუთებს კი მოვითხოვ,—თორემ, იქნებ, კიდევ მოგესურვოს გადაყენება და მით საქმე გაგრძელდება, რაც სანატრელია თქვენთვის. დანარჩენ მოთხოვნებს გიმეორებთ უკანასკნელად პრესის საშვალებით, პასუხისათვის ვადას გაძლევთ ორ კვირას. დუმილი ჩაითვლება დამარცხებულად თავის გამოცხადებათ. მაშინ სხვა გზით შეეცდები გაგებინოთ პასუხი, სამართლიანობის დამცველო, ბ-ნო ისარო.

მასწ. **ილიკო მ. ქუთათელაძე.**

P. S. ბ. ისარმა უკანასკნელ წერილს „ეშმ. მათრახში, 27 მარტს, გაუკეთა შენიშვნა: ეს წერილი იგზავნება რედაქციაში მეორეჯერ, პირველი გაგზავნილი იყო ოთხ თებერვალს, რომელიც, როგორც სჩანს დაკარგულა. 27 მარტსვე მოათავსა იმ წერილის ასლი,—ალბად მეტი შთაბეჭდილების მოსახდენად,—„მეგობარში“ შენიშვნით: ეს წერილი გავგზავნე „ეშმ. მათრახის“ რედაქციაში ერთი თვის წინათ, მაგრამ არ ინება დაბეჭდვაო. ეგ შენიშვნები უკომენტარიოთ ნათელ ყოფს, თუ რა პიროვნებაა ბ. ისარი. ამიტომ ვთხოვ „მეგობრის“ რედაქციას გადაბეჭდოს ეს წერილი.

ი. ქ.*)

---

*) ამით ვსპობთ ამ საგანზე კამათს.

„ეშმ. მართ.“ რედ.

გამოვიდა „ანნ“-ის ახალი ბროშურა

კონსერვატიზმი, ლიბერალიზმი და სოციალიზმი.

კანტორა „განათლებისა“ მიერ გამოცემული.

ფასი 25 კაპ.

აგენტებს დაეთმობათ 20 კ. საწყობი ოლოლას ქუჩა № 6.



დილის ლოცვა.

მეუფეო, მბრძანებელო
პურის „სპეკულიაციისა“
შეისმინე ეს ვედრება
მამრისა და დიაცისა.

მოანიჭე, ხალხსა შენსა,
პური მისი არსებისა,
ნუ გავხდებით ჩვენ ზვარაკნი
გაუმაძღარ ჩარჩებისა.

მოგვეც ძალა ცხოვრებისა,
გაგვიხურე თორნე ფურნე,
რომ განსაცდელს ავაშორო
მოქალაქე და მეურნე.

უნუგეშოთ შთენილნი ვართ,
ვით ცხოვარნი უმწყესავად,
გვევედრები, ნუ გასწირავ
ვიდრე ქალაქს ვყევარ თავად.

რომ მილიონ ხალხის ბედსა
ჩარჩი ფლობდეს და ხაბაზი
თითონ ხედავ, მეუფეო,
არ გამოდის ეგ ლამაზი.

ნებადართულია სამხ. ცენზორისაგან. სტამბა „შრომა“. რედაქტორ-გამომც. თ. ბოლქვაძე.